

გეორგიკა ტრეველი

ტურ ოპერატორი კომპანია

GEORGICA TRAVEL

Tour Operator Company in Georgia

5, Erekle II Str. Tbilisi, Georgia. Tel: +995 32 225 21 99.

Email: info@georgicatravel.ge

www.georgicatravel.ge

წარმოგიდენტ შპს გეორგიკა ტრეველ-ის (203 864 782) 2024 წლის ფინანსურ
ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით.

გიორგი კალანდაძე

შპს გეორგიკა ტრეველის დირექტორი:



30.09.2025

შპს „გეოგრიკა თრეველ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 2

შპს „გეორგიკა თრეველ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2024	2023
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1256202	1369419
სავაჭრო მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	20972	2156
სხვა მოკლევადიანი აქტივები	19956	20010
სულ მოკლევადიანი აქტივები	1297130	155699
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	6298	7463
არამატერიალური აქტივები		
საინვესტიციო ქონება		
სულ გრძელვადიანი აქტივები	6298	7463
სულ აქტივები	1303428	1399048
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	12170	17481
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები		
სასესხო ვალდებულებები		18796
სხვა ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		12965
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	12170	49242
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	0	0
მთლიანი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება	1289258	1347806
სულ კაპიტალი	1291258	1349806
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1303428	1399048

შპს „გეორგიკა თრეველ“-ის დირექტორი
გეორგი კალანდაძე

შპს „გეორგიკა თრეველ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	2024	2023
ამონაგები	3153028	2400600
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საერთო მოგება	3153028	2400600
სხვა შემოსავალი	26598	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-792912	-703151
ცვეთა და ამორტიზაცია	-2669	-2961
საპროცენტო შემოსავალი	6737	45423
საპროცენტო ხარჯი	-31165	-58521
იჯარის ხარჯი	-194129	-138667
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2215624	-1824172
სულ საოპერაციო ხარჯი	-3203164	-2682049
სულ საოპერაციო მოგება	-50136	-281449
წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი		-
სულ მოგება დაბეგვრამდე		
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება		

შპს „გეორგიკა თრეველ“-ის დირექტორი
გიორგი კალანდაძე

შპს „გეორგიკა თრეველ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2023	2000	1,631,353	-	1,633,533
გაცემული დივიდენდები				
		-281,449		-224,688
კაპიტალის სხვა ცვლილება				
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-	-2098	-	-2098
31 დეკემბერი 2023	2000	1,347,806	-	1,349,806
გაცემული დივიდენდები		0		
კაპიტალის სხვა ცვლილება		-8412		-8412
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		-50,136		-50,136
31 დეკემბერი 2024	2000	1,289,258		1,291,258

შპს „გეორგიკა თრეველ“-ის დირექტორი
გიორგი კალანდაძე

შპს „გეორგიკა თრეველ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(113883)	(122113)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1504)	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	6737	-
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტს შორის	(108650)	(122113)
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	1,369,419	1670660
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	1,256202	1548547

შპს „გეორგიკა თრეველ“-ის დირექტორი გიორგი კალანდაძე

1.ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „გეორგიკა თრეველ“ (შემდეგში „კომპანია“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის საქმიანობაა ტურ-ოპერატორის მომსახურება. შპს გეორგიკა თრეველ-ს არ გააჩნია მეკავშირე და შვილობილი საწარმოები. კომპანიის დირექტორი და მფლობელი არის გიორგი კალანდაძე.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1 ანგარიშგების მომზადების და წარგენის საფუძველი საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომვალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგებს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.6 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებას - დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

2.7 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამებს, ლიცენზიებს.

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.9 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

2.10 ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.11 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული

არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

2.12 სახელფასო განაცემი

ხელფასები ექვემდებარება დარიცხვის იმავე პერიოდში რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული

2.13 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისი ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა

2.14 ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ , როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ ,როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი , რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდის შესაბამისად.

2.15 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.16 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის სანაგარიშგებო თვეში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) .

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	1,256202	1369419
ნაღდი ფული		
სულ	1,256202	1369419

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	0	0
სხვა მოთხოვნები	0	0
წინსწრებით გადახდილი ხარჯი	19958	2156
ზედმეტად გადახდილი გადასახადი	17168	20010
სულ	37126	22166

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	0	0
სხვა	0	0
სულ	0	0

2.6 ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ნაშთი 01.01.2024	-	-	7463		7463
შემოსვლა	-		1504	-	1504
გასვლა	-	-	0	-	0
დარიცხული ცვეთა	-	-	-2669	-	-2669
ნაშთი 31.12.2024			6298		6298

2.7 არამატერიალური აქტივები

	2024 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი 01.01.2024	0
ცვეთა	0
ნაშთი 31.12.2024	0

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ	0	0

2.10 ამონაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	3,153,028	2400600
სულ	3,153,028	2400600

2.11 ხარჯი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დასაქმებულთა ანაზღაურება	792912	703151
ცვეთა და ამორტიზაცია	2669	2961
საპროცენტო ხარჯი	31165	58521
იჯარის ხარჯი	194129	138667
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2215624	1824172
სულ	3236499	2727472